



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური
საბჭოს სხდომაზე
რექტორი ანზორ შარაშენიძე

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი
საქმიანობის წესი

2019წ

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წესის სამართლებრივი საფუძვლები

მუხლი -1

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წესი არის სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფარგლებში სტუდენტთა განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულების სასწავლო - შემოქმედებითი ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ფაკულტეტის/სკოლის დარგობრივი ცენტრების ბაზაზე სტუდენტთა შორის სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობის მიზნით.

მუხლი 2

1. სამეცნიერო ცენტრის წევრთა რაოდენობა არ არის შეზღუდული;
2. სტუდენტთა მუშაობას კურირებს სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და სტუდენტთა საქმიანობს კურირებს შესაბამისი დარგის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალი- ცენტრის წარმომადგენელი;
3. სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა წარმართება სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით, აღნიშნული დებულების, სამეცნიერო ცენტრისა და შესაბამისი სამეცნიერო დეპარტამენტის ინსტრუქციებითა და პროგრამებით;
4. უმაღლესი განათლების ფაკულტეტებზე სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობას კოორდინაციას უწევს - კოორდინატორი.

მუხლი 3

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი გაერთიანება უფლებამოსილია:

- ა) მოისმინოს სტუდენტთა გაერთიანების წევრთა სამეცნიერო მოხსენებები;
- ბ) შეარჩიოს მოხსენებები სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გასატანად;
- გ) ორგანიზება გაუწიოს სტუდენტთა დისკუსიებს სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 4

სტუდენტთა გაერთიანების შეკრებათა განრიგი და დღის წესრიგი განისაზღვრება წინასწარი სამუშაო გეგმით და ცალკეულ შემთხვევაში სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ.

მუხლი 5

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი გაერთიანება სამუშაო სხდომის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი და შესაბამისი სამეცნიერო კვლევით ცენტრთან - შეთანხმებით.

მუხლი 6

1. სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი გაერთიანების წევრები არიან შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები. სამეცნიერო გაერთიანების წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ერთხელ მაინც წარდგენილი აქვს ნაშრომი სამეცნიერო კონფერენციაზე ან გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია ან სამეცნიერო კვლევით ცენტრში დარეგისტრირებული აქვს თემატიკა რომელზეც მუშაობს;
2. საერთო შეკრება ეწყობა სამეცნიერო ცენტრის მიერ საჭიროებისამებრ;
3. სტუდენტთა განვრიანების და გარიცხვის საკითხს წყვეტს სტუდენტთა სრული შემადგენლობა უმრავლესობით;
4. სტუდენტთა გაერთიანების წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია საკუთარი ინიციატივით დატოვოს ცენტრი. დაუშვებელია ცენტრის წევრობის სხვა პირებისთვის გადაცემა;
5. ცენტრიდან გარიცხვის საფუძვლებია:
 - ბ. სამეცნიერო ცენტრის დებულების უხეში დარღვევა;
 - გ. ერთი წლის განმავლობაში სამეცნიერო სფეროში არანაყოფიერი საქმიანობა;
6. სამეცნიერო ცენტრის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა. სტუდენტის სხვა სასწავლებელში გადასვლა;
 - ბ. სტუდენტის სასწავლებლიდან გარიცხვა;
7. ცენტრის „პასიური“ წევრები არიან ის სტუდენტები, რომლებიც ცენტრიში საქმიანობით მხოლოდ იკმაყოფილებენ ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ინტერესს და სურთ მოამზადონ რეფერატული სამეცნიერო ნაშრომი.

მუშაობა - სტრადეგიული მიდგომები

1. ცენტრი “ელიტარული” სტუდენტური გაერთიანებაა, რომლებშიც განვრიანებული არიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და სამეცნიერო საქმიანობაში წარმატებული, მოტივირებული სტუდენტები;
2. ცენტრის წევრებს მოეთხოვებათ მხოლოდ მზარდი სამეცნიერო - კვლევითი მუშაობა მუშაობა საბაკალავრო და სამაგისტრო მოთხოვნების დონეზე.
3. ცენტრის წევრთა მზარდი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა გულისხმობს: სამეცნიერო სტატიების მომზადებას, მის გამოცემას, სტუდენტთა კონფერენციაში მონაწილეობას და ამ შედეგების პერიოდულ გაუმჯობესებას.
4. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წევრები არიან შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები. სამეცნიერო კვლევითი გაერთიანების წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ერთხელ მაინც წარდგენილი აქვს ნაშრომი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ან გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია ან სამეცნიერო ცენტრში დარეგისტრირებული აქვს თემატიკა რაზეც ის მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე-ხელმძღვანელთან ერთად;
7. სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის საქმიანობა კონცენტრირებული იქნება სამეცნიერო ცენტრის მუშაობის განვითარების, კოორდინაციის, კონტროლის და კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვისაკენ, მათთვის ხელსაყრელი და სამუშაო გარემოს

შექმნისაკენ;

8. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა საქმიანობაში, სტუდენტთა მომზადებას რეფერატულ სამაგისტრო ნაშრომთა კონკურსსა და სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციაში მონაწილეობის პროცესში დიდი როლი ეკისრებათ ცალკეულ დეპარტამენტებს;

9. გაზრდილი პასუხისმგებლობა სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაერთიანებით მუშაობაში მიიღწევა სტუდენტისათვის სამუშაო გარემოს შექმნით, სტუდენტის სამეცნიერო საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მის ინტერესთა სფეროს და სასურველია განიხილებოდეს გრძელვადიან პერსპექტივაში. სამეცნიერო ცენტრი უნდა იყოს გარკვეული სამეცნიერო ინტერესის მქონე მოტივირებულ სტუდენტთა გაერთიანება;

10. ცენტრის კურატორებმა, სამაგისტრო ნაშრომების-ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ ცენტრის წევრთა ცოდნის გაღრმავებასა და აკადემიურ პერსონალთან ინტეგრაციაზე, ხელი უნდა შეუწყონ სტუდენტებს რათა ჩაერთონ სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით აქტივობაში;

11. ცენტრის მუშაობაში უნდა დანერგონ სამაგისტრო დონეზე სამეცნიერო კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები;

12 უნდა გადაიდგას ნაბიჯები სამეცნიერო ცენტრის ურთიერ-კავშირების დამყარებისა და გაღრმავებისთვის სახვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ დარგობრივ ცენტრებთან.